ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 26 ნოემბრის სხდომის

**ოქმი #9**

2021 წლის 26 ნოემბერს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 37 წევრი, სხდომას ესწრებოდა 24 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდა დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. ვ.ტრაპაიძე და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. თ.ჭელიძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

**დღის წესრიგი:**

1. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში;
2. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა, ასისტ. პროფესორმა გ.ბრეგვაძემ. ბატონმა გიორგიმ საბჭოს წევრებს წარუდგინა განსახორციელებელი ცვლილებები (დანართი 1.4) შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში: სამაგისტრო პროგრამა **„წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა“** (დანართი 1.1), სადოქტორო პროგრამა **„გამოყენებითი ეკოლოგია“** (დანართი 1.2) და საბაკალავრო პროგრამა **„ეკოლოგია“** (დანართი 1.3).

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორებმა ნ.შთაშვილმა, ლ.მაჭავარიანმა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი პროგრამული ცვლილებების შესახებ (იხ. დანართები 1.1-1.4).

**კენჭისყრის შედეგები:** საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ცვლილებები (დანართი 1.4) შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში: სამაგისტრო პროგრამა **„წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა“** (დანართი 1.1), სადოქტორო პროგრამა **„გამოყენებითი ეკოლოგია“** (დანართი 1.2) და საბაკალავრო პროგრამა **„ეკოლოგია“** (დანართი 1.3).

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე - მიმდინარე საკითხებში ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოც. პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ გამოიტანა კომპიუტერულ მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ბექა ბარბაქაძის სადისერტაციო თემის, გეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტის რეზო ვეკუას სამაგისტრო თემისა და მათი ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხები.

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორებმა ნ.კოტრიკაძემ, ა.უგულავამ, ნ.შათაშვილმა, ა.შენგელაიამ, ა.გამყრელიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:** საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

**დაადგინეს:**

- დამტკიცდეს **კომპიუტერულ მეცნიერებათა** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ბექა ბარბაქაძის სადისერტაციო თემა: **„გრაფიკული პროცესორები და ჰომომორფული კოდირება“,** ასევე ხელმძღვანელები: თსუ პროფესორი ალექსანდრე გამყრელიძე და კომპანია Zama SAS (საფრანგეთი) თანამშრომელი, მეცნიერებათა დოქტორი ანიე ლერუა.

- დამტკიცდეს **გეოლოგიის** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტის რეზო ვეკუას სამაგისტრო თემა: **“ლოქის მასივის გრანიტოიდების პეტროლოგია და გეოქიმია“,** ასევე ხელმძღვანელები: თსუ ასოც.პროფ. კარლო აქიმიძე და ა.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, გეოლოგია-მინერალოგიის დოქტორი, გიორგი ჭიჭინაძე.

**ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,**
**ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი**

**ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,**
**ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი**